

ნანა სტამბოლიშვილი
პროფესორი
ნუნუ ბახტაძე
დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

იდომების წარმოშობის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები

რეზიუმე: სამყაროს შეცნობა ერთ იწყება. ენა ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი და მის აგებაში მონაწილე ფაქტორია. ენა, კულტურა და აზროვნება განსაზღვრავს და აყალიბებს ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული ხასიათის ფორმირების საკითხსაც. ნაციონალური იდენტობის სპეციფიკური მახასიათებლები ყველაზე მრავალფეროვნებით იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში აისახება. იდიომატური ფრაზეოლოგიზმები ნებისმიერი ხალხის, მსოფლიოს ენობრივი სურათის მკვეთრ და თვითმყოფად ეროვნულ ნაწილს წარმოადგენს.

იდიომატური გამოთქმა როგორც გერმანულში, ასევე ქართულში, რთული ენობრივი წარმონაქმნია. მის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და ენაში დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა როგორც საერთო, ისე ეროვნული ხასიათის ექსტრალინგვისტურმა და ეთნოლონგვისტურმა ფაქტორებმა.

ჩვენი მიზანია გერმანული ენის ლექსიკურ ფონდში არსებული რამდენიმე იდიომატური გამოთქმის განხილვა, რომლებმაც მოგვცეს საშუალება, დავკვირვებოდით მათი წარმოშობის ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, მეტაფორიზაციის გზის გავლით მათ ენაში დამკვიდრების, მყარ შესიტყვებებად-იდიომატურ გამოთქმებად ჩამოყალიბების წინაპირობებსა და ენათმშორისი შესატყვისობის დონეს.

საკვანძო სიტყვები: ენა, კულტურა, აზროვნება, იდომები

Abstract: Knowledge of the world begins with the language. The language is the part of our national culture and main factor of its forming. The unity of language, culture and thinking determines and forms not only of the national mentality, but national originality and character. Specific features of the national identity are reflected in the diversity of idioms. Idiomatic phraseology is a vivid and national peculiar part of the world's linguistic picture of any nation. Idiomatic expression in German, as well as in the Georgian language, is a complex verbal formation. Linguistic and extra linguistic factors played a prominent role in the formation, development and the establishment of idioms.

Our goal is to discuss several idiomatic expressions in the German language lexical foundation that gave us the opportunity for observing the linguistic and extra-linguistic factors of their origin, and conditions of establishing them through the metaphorization road., the preconditions for the formation of idiomatic expressions and the Equivalent level between languages.

Keywords: Language, Culture, Thinking, Idioms

შესავალი

ყოველი ენა უნიკალურია არა მარტო სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ მასში დაფიქსირებული ეროვნული მსოფლალქმის თვალსაზრისითაც. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა მიერ ობიექტური სამყაროს დანაწევრება კარგად ჩანს ლექსიკურ ერთეულებში, რომლებსაც მხოლოდ სიტყვები კი არა, ფრაზეოლოგიზმებიც განეკუთვნება, რომელთაგან განსაკურებით იდიომატური გამოთქმები გამოირჩევიან. ფრაზეოლოგია იგივეა, რაც იდიომატური გამოთქმები, თუმცა ყველა ფრაზეოლოგია იდიომა არ არის. ნებისმიერი ენის იდიომატური გამოთქმების სიმდიდრე არის ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ეროვნული ენობრივი ცნობიერების მონაპოვარი და წარმოადგენს ნებისმიერი ხალხის მსოფლიოს ენობრივი სურათის როგორ უნივერსალურ, ისე თვითმყოფად ეროვნულ ნაწილს. იდიომატური გამოთქმების კომპონენტები ყოველთვის არის მიმართული სუბიექტზე, ანუ ისინი, უმეტესწილად, წარმოიქმნება არა სამყაროს აღწერისთვის, არამედ იმისთვის, რომ მოახდინონ მისი ინტერპრეტირება, შეაფასონ ის და გამონატონ მისდამი სუბიექტური დამოკიდებულება. სწორედ ეს განასხვავებს იდიომატურ გამოთქმებს და მეტაფორებს სხვა ნომინაციური ერთეულებისაგან. იდიომატური გამოთქმები გამონატავს

ერის ისტორიას, ტრადიციას და ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა ადათ-წესებს.

იდიომატური გამოთქმები ენის უნივერსალურ ნაწილს წარმოადგენს, რომელთა წარმოშობის შესახებ ბევრი რამ კიდევ გაურკვეველი რჩება.

იდიომატური გამოთქმების უმეტესობა ხომ სხვა ენებზე არ ითარგმნება: ყოველი ერი მათში საკუთარ ხასიათს, საკუთარ საყვარელ მეტაფორიზაციას გამოხატავს, რომელიც მხოლოდ მისი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

იდიომატური გამოთქმა როგორც გერმანულში, ასევე ქართულში რთული ლექსიკურ-გრამატიკული და სემანტიკური ენობრივი წარმონაქმნია. მის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და ენაში დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა როგორც საერთო, ისე ეროვნული ხასიათის ლინგვისტურმა, ექსტრალინგვისტურმა და ეთნოლინგვისტურმა ფაქტორებმა. მათი აპრობაცია დროთა განმავლობაში ხდება. გერმანულ-ქართულ ენებში არსებულმა ზოგიერთმა შესიტყვებამ და წინადადებამ სემანტიკური სახეცვლილება განიცადა. კომპონენტები მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს და იძენს ახალ მნიშვნელობას, ყალიბდება მყარ შესიტყვებად, ე. ი. ფრაზეოლოგიზმებად.

ორივე ენა, როგორც გერმანული, ისე ქართული, იმდიდრებს თავის ფონდს არამარტო ლოკალური წარმოშობის ე. ი. საკუთარი ფრაზეოლოგიური ერთეულის ხარჯზე, არამედ სესხულობს სხვა ენებიდან, აძლევს მათ ეროვნულ ენობრივ სახეს.

იდიომების წარმოშობის საფუძვლები

იდიომების წარმოშობის ლინგვისტურ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ადრესატის განკარგულებაშია კოდი, რომელიც შედგება სიტყვებისაგან, ე. ი. ინფორმაციის გადამცემ ნიშან-დესიგნატორებისაგან, რომლებიც მიუთითებენ დენოტატთან უშუალოდ დაკავშირებულ საგნებს, მოქმედებას ან ხარისხს. ეს კოდი ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას. ადრესატს რომ დაბრკოლება არ შეხვდეს კოდირებისას, იგი თვალსაჩინოების მიზნით ირჩევს ასოციაციის შედეგად მიღებულ სპეციალურ მაჩვენებლებს (სიტყვა-სიმბოლოებს). ადამიანის ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ცხოვრების მაჩვენებელ სიმბოლოებად გამოყენებულია კონსტიტუენტები, ადამიანის შინაგანი და და გარეგანი სხეულის ნაწილები (Herz – გული, Bauch – მუცელი, Hals – ყელი, Leib – ტანი, Niere – თირკმელი, Auge – თვალი, Hand – ხელი, Fuß – ფეხი, Finger – თითი და სხვ.), პროფესია (Schuster – მეწაღე, Glaser – მეწუმე), ნათესაობის გამომხატველი სახელები (Mutter – დედა,

Bruder – ძმა), ადამიანის შინაგანი მდგომარეობა (Freude – სიხარული, Leid – დარდი, მწუხარება). მიკროსისტიკის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს აგრეთვე გამოგონებული არსებები (Hexe – ჯადოქარი, Teufel – სმაკი), ე.ი. სამყაროს არქაული მოდელები. ხშირად ასეთი ლექსიკური ერთეულებიდან წარმოქმნილი იდიომები სრული ან ნაწილობრივი სემანტიკურ-ფუნქციური შესატყვისობით გამოირჩევიან თარგმნისას.

Ein Aug(e)auf jmdn. haben – თვალი უჭურავს, თვალი დაადგა = (მნიშვნელობებით: ამოიჩემა, მოსწონს).

Du bist ein heimlicher Katholik... **auf dich habe** ich schon längst **ein Auge...**
H. Mann-Henri Quatre, Jugend (in *Deutsch-Georgisches Phraseologisches Wörterbuch* 14).

შენ ჩემი კათოლიკე უნდა იყო. შენზე დიდი ხანია **თვალი მიჭირავს** (დიდი ხანია **თვალს გადავინებ**)

Dero Herr Sohn **haben ein Aug auf** meine Tochter (*Ibid.*).

თქვენს ვაჟს ჩემს ქალზე **თვალი უჭირავს (მოსწონს)**.

Keinen Finger rühren/krümmen – ხელი (თითი) არ გაანძრიო (იდიომატური მნიშვნელობით: არ დაეხმარო, არაფერი გააკეთო).

Ich habe bei meinen Eltern nicht nötig gehabt, **einen Finger zu rühren** (*Ibid.* 79)

ჩემს მშობლებთან მე **თითის განძრევაც** არ მჭირდებოდა.

იდიომების სემანტიკურ სინთეზთან დაკავშირებით, ენაში მოქმედებენ ასოციაციური ტრანსფორმაციები, რომლის თანახმად რაიმე მოვლენის, მოქმედების ან თვისების მაგიერ ასოციაციით ხდება კონკრეტული შემთხვევის (ნამდვილის ან გამოგონილის) აღწერა, ე.ი. დენოტატის აღწერისას რეალური საგნების მოქმედებისა თუ ხარისხის პირდაპირი მითითების მაგიერ ადგილი აქვს ირიბ მითითებას: **auf Abwege gerate** (სინონიმი: **auf die schiefe Bahn kommen**) – გზას აცდე, ცუდ გზას დაადგე **sich auf dem Holzweg befinden** – ცდებოდე, მცდარ გზას ადგე (იდიომატური მნიშვნელობა: არასწორად მოქმედებდე).

Der eine (von den Söhnen) – und gerade der Älteste ist vollkommen **auf Abwege geraten** – Bredel-Verwandte und Bekannte (*Ibid.* 8).

ერთი მათგანი – და სწორედ უფროსი ვაჟი – სრულიად **ასცდა გზას**.

Wenn Sie sich etwa der Hoffnung hingehen, meiner Frau Grillen in den Kopf zu gesetzt zu haben, so **befinden Sie sich auf dem Holzwege**, mein wertgeschätzter Herr – Th. Mann-Tristan (*Ibid.* 142). – თუ თავს იიმედებთ იმით, რომ შესძელით ჩემი ცოლისათვის რაღაც ფანტასტიკური იდეების ჩაგონება, მაშინ თქვენ, ბატონო ჩამო, სასტიკად ცდებით (მცდარ გზას ადგახართ).

მყარ შესიტყვებად ე. ი. იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბების ყველაზე მეტად გავრცელებული სახეა თავისუფალი შესიტყვების ახლებურად გააზრება. ახლებური გააზრების შედეგად მყარი შესიტყვებისა და თავისუფალი შესიტყვების კომპონენტები სხვადასხვა სემანტიკურ სფეროს ეკუთვნის. ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია იმ ლიტერატურული წყაროს დადგენა, საიდანაც წარმოიქმნა ესა თუ ის იდიომატური გამოთქმა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოიშვა ზეპირმეტყველების საფუძველზე. შესაძლებელია, რომ სწორედ ზეპირმეტყველების საფუძველზე წარმოიქმნა გერმანული იდიომა *etwas (viel) auf dem Kerbholz haben* – ძველად, სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა – გქონდეს რაიმე (ზევრი) აღნიშვნა ბირკაზე (საჭდეზე). იდიომატურ გამოთქმას თავისი პირდაპირი მნიშვნელობით მივყავართ ძველად არსებულ ჩვეულებამდე – ასეთი წესით აღნიშნავდნენ ვალებს. დღეს ამ გამოთქმის წარმოსახვითი მოტივაცია გაუფერებელია და გადატანითი, იდიომატური მნიშვნელობით ნიშნავს: „ცოდვები აქვს“, „ნახშირნაჭამია“, „ცხვირი მოსვრილი აქვს“.

Der scheint auch etwas *auf dem Kerbholz zu haben* – ესეც, როგორც ეტყობა, *ნახშირნაჭამიაა* (მასაც, როგორც ეტყობა, *ცხვირი მოსვრილი აქვს*).

იგივე შეიძლება ითქვას, გერმანულ იდიომატურ გამოთქმაზე *auf der Bärenhaut liegen* = სიტყვა-სიტყვით: დათვის ტყავზე იწვე, (იდიომატური მნიშვნელობა: არაფრის კეთება, ზარმაცობა). საქმე იმაშია, რომ ენის ლექსიკა და განსაკუთრებით იდიომატური ფრაზეოლოგიზმები ასახავს ნებისმიერი ერის ისტორიული განვითარების თავისებურებებს, მათ ტრადიციებს და ზნე-ჩვეულებებს, რომელთა მნიშვნელობის ახსნა ისტორიული ანალიზის მეშვეობითაა შესაძლებელი. აღნიშნული იდიომატური გამოთქმა გამობატავს ძველი გერმანელების ცხოვრების წესს: გერმანიკულ ტომებში მამაკაცების მთავარი საქმიანობა იყო ომი და ნადირობა. თავისუფალ დროს ისინი თითქმის არაფერს აკეთებდნენ (ისინი დათვის ტყავზე იყვნენ წამოწოლილი), მაშინ როცა ქალები საოჯახო და საველე საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. იდიომატურ გამოთქმას აქვს სინონიმი გერმანულ ენაში *sich auf die faule Haut legen*. ქართულში მას აქვს შესატყვისი იდიომატური გამოთქმა: *მხარ-თეძოზე წამოწოლა*.

Den ganzen Winter über *lag er auf der Bärenhaut*.

მთელი ზამთარი იგი *მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი*.

ქართულ ენაშიც მოიპოვება ეროვნულ-სპეციფიკური, ისტორიული წარმოშობის იდიომატური გამოთქმები, რომლებიც ქართველი ხალხის კონკრეტული ისტორიული პერიოდის რეალიებს აღნიშნავს: კაკას ხიდი გაიარა „გაუჩინარდა“. თედო გახოკიას მიხედვით, იდიომის წარმოშობას შემდეგი ახსნა აქვს: დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, იმერეთიდან გატაცებული ტყვეები, თურქეთში კაკას ხიდის¹ გავლით გადაჰყავდათ. ტყვე, რომელსაც ეს ხიდი უკვე გავლილი ჰქონდა, დაკარგულად ითვლებოდა. იგივე შინაარსისაა ქართული სინონიმური იდიომა: ჩაიღურის წყალი დალია, რომლის მნიშვნელობაა „უკვალოდ დაიკარგა“. ეს იდიომაც ხალხის ისტორიასთანაა დაკავშირებული. მდინარე „ჩაიღური“ კახეთში, კერძოდ ქიზიყში მიედინება და ტყვე, რომელიც ამ მდინარეს გადალახავდა, ითვლებოდა დაკარგულად. მოგვიანებით, გაფართოვდა იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა და იგი „ამ ქვეყნიდან გასვლას“, „გარდაცვალებასაც“ აღნიშნავს <https://sites.google.com/site/mygeolingua/khatovani-sitqva-tkmani>.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიმსჯელოთ, რომ თავისუფალი შესიტყვებებიდან იდიომების წარმოქმნის ექსტრალინგვისტური ფაქტორების გარდა, ენაში მოქმედებენ შიდა ლინგვისტური ფაქტორები, რასაც განაპირობებს მეტაფორული და მეტონომიური გააზრების შედეგად წარმოქმნილი იდიომების არსებობა. ეს იდიომები ბევრ ენაში სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობით გამოირჩევა. გერმანულ ენაში, ისე როგორც ქართულში, გვხვდება იდიომა: *Öl ins Feuer gießen* – ცეცხლზე ნავთის დასხმა – იდიომატური მნიშვნელობით: „საქმე უფრო გაამწვავო, უფრო დაძაბო“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცეცხლი, საწვავი სითხის ჩასხმით უფრო ღვივდება. ანალოგიურად შეიძლება დავის, ჩხუბის გამომწვევი არგუმენტების შემოტანით, უთანხმოების უფრო გამწვავება. შესაბამისად, გამოთქმის ხშირი გამოყენების შედეგად წარმოიქმნა მეტაფორული იდიომა. მეტაფორული, ხატოვანი ფრაზეოლოგიზმების შესახებ ბურგერი აღნიშნავს: „Ein metaphorischer Phraseologismus stellt einen abstrakten Sachverhalt in einem konkret vorstellbaren Modell da“² (Burger, *Phraseologie: Eine Einführung am Beispiel des Deutschen* 26).

მაგ. Hättest du dir diese häßliche Bemerkung nicht sparen können? Du hast damit nur **Öl ins Feuer gegossen** – ნუთუ არ შეგეძლო ამ უშნო ხუმრობისაგან თავი შეგეკავებინა? ამით შენ მხოლოდ **ცეცხლზე ნავთი დაასხი**.

1. კაკას ხიდი რქმევია ფერსათის მთიდან გამომავალი მდინარე ხანისწყლის ნაპირზე, მიუვალ კლდეზე აშენებულ ციხეს.
2. მეტაფორული ფრაზეოლოგიზმი აბსტრაქტულ ფაქტს კონკრეტულ მოდელში წარმოადგენს [თარგმანი ჩვენია=ნ.ს.].

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს იდიომების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფუნქცია – მნიშვნელობის გადმოცემის საგნობრივ-თვალსაჩინოებრივი უნარი. ასოციაციის მოქმედების შედეგად საგნებისა და მოვლენების შინაგანი თვისება, ადამიანის ინტენსიური მდგომარეობა წარმოდგენილია გარეგნული წარმოსახვით, ე.ი. აბსტრაქტულის მაგიერ აღწერილია კონკრეტული სიტუაცია, რომელმაც გამოიწვია საგნობრივ-თვალსაჩინოებრივი წარმოდგენა და მასთან დაკავშირებული ემოციები.

თავისუფალი შესიტყვების ახლებური გააზრების გზით წარმოქმნილი იდიომებისათვის ან ზოგჯერ მათი ცალკეული კომპონენტისათვის დამახასიათებელია ეროვნული სპეციფიკურობა. ეროვნულ-სპეციფიკურ სიტუაციასთან (მატერიალური წარმოება, ყოფაცხოვრება, ცრურწმენა) და ფოლკლორთან დაკავშირებულ იდიომებს (თუმცა ზოგიერთ კომპონენტს ეროვნული კოლორიტი აღარ ახასიათებს) არ გააჩნიათ სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტი სხვა ენებში, რომლებშიც შესაბამისი სიტყვების შეხამებას არ მიუღია ანალოგიური მნიშვნელობა. მაგ., *ein X für ein U(vor) machen* – თვალი აუხვიო, შეცდომაში შეიყვანო.

„Ja, mein lieber Herr Senator,“ hatte Doktor Grabov gesagt, „... die Lungenentzündung ist nun doppelseitig, und das ist immer bedenklich, ich *mache* Ihnen *kein X für ein U*“ – Th. Mann-Buddenbr (in *Deutsch-Georgisches Phraseologisches Wörterbuch* 218).

ins Fettnäpfchen (bei jm) treten – მტკივნეულ ადგილს შეეხო, მტკივნეულ ადგილზე დააბიჯო ფეხი (იდიომატური მნიშვნელობით: უთხრა ის, რისი მოსმენაც არ სურს, გაანაწყენო).

“Lass dich vorläufig bloß nicht bei Tante Gerda sehen. Bei der bist du gestern mit deinem albernen Scherz gehörig *ins Fettnäpfchen getreten*“ – ჯერჯერობით უმჯობესია დეიდა ჰერდას არ დაენახო! გუშინ შენი სულელური ხუმრობით იგი ძალიან გაანაწყენე (მას *მტკივნეულ ადგილზე დააბიჯე ფეხი*). გერმანულ ენაში არსებობს აღნიშნული იდიომატური გამოთქმის უაღრესად ფამილიარობით გამორჩეული სინონიმები: *auf die Hühneraugen* (jmdm.) *treten* და *auf den Schlips* (jmdm.) *treten* – ქართულად შეესიტყვება ასევე ფამილიარობით გამორჩეული იდიომი: *მაზოლზე ფეხი დააჭირო* – *მტკივნეულ ადგილს შეეხო*

Anscheinend habe ich ihm *auf die Hühneraugen getreten*, denn er ist sehr böse auf mich – ალბათ მტკივნეულ ადგილს დავაჭირე ფეხი (ძალიან ვაწყენინე ჩემი უტაქტობით)

Warum ist sie denn so mürrisch? *Habe ich* ihr etwa *auf den Schlips getreten*? – რატომ არის იგი ასე მოღუშული? ნეტავ *მაზოლზე ფეხი ხომ არ დავაჭირე?*

ეროვნულ-სპეციფიკურობის და უნიკალური კომპონენტების მქონე იდიომებიც არსებობდა თავისუფალი შესიტყვების სახით. მაგ., *an jm(bei jm.) ist Hopfen und Malz verloren* სიტყვასიტყვით: **სვია და ალაო დაკარგული აქვს**. ამ იდიომას წარმოშობას შემდეგნაირად ხსნიან: შუა საუკუნეებში ლუდის დასამზადებლად ძირითად სვიას და ალაოს იყენებდნენ. თუ ნარევი არ იყო სუფთა, დუღილი შეწყდებოდა და შემადგენლობაც უვარგისად ჩაითვლებოდა. ხშირი განმეორების შედეგად განვითარდა გამონათქვამი, რაც იდიომატური მნიშვნელობით ნიშნავს: ფუჭი, ტყუილუბრალო გარჯაა.

იდიომების წარმოშობის ერთ-ერთი გზა ლექსიკური დერივაციაა – უკვე არსებული ფრაზეოლოგიებიდან შეიძლება ახალი ფრაზეოლოგიზმები (იდიომები) წარმოიქმნეს. მაგ., გერმანულ ენაში გავრცელებულ ანდაზიდან *stille Wasser sind tief* – დამდგარ წყალში მეტი ბაცილებიაო – წარმოიქმნა სუბსტანტივური ფრაზეოლოგიზმი: „*ein stilles Wasser*“ – ჩუმჩუმელა – გულჩახვეული, ღიაობის არ მოყვარული ადამიანი (ზოგჯერ უარყოფითი კონოტაციით).

„Kennen Sie den Herrn Roland?“ – „Ja, aber ich kann nicht viel über ihn sagen. *Er ist ein stilles Wasser*“ – „იცნობთ ბატონ როლანდს?“ – დიახ, მაგრამ მასზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. იგი **გულჩახვეული კაცია (დიდი ჩუმჩუმელა ვინმეა)**.

გერმანულ ენაში, ისე როგორც ქართულში არსებობს უნიკალური კომპონენტების მქონე იდიომატური გამოთქმები.. ასეთ იდიომებს ხშირად ე. წ. ნეკროტიზმებს უწოდებენ. ესენი არიან იდიომები, რომელთა კომპონენტები თანამედროვე ენაში დამოუკიდებლად არ გამოიყენება და თანამედროვე სამყაროს მოვლენებზე, რა თქმა უნდა, ხატოვან წარმოდგენას ვერ მოგვცემს.

Maulaffen feilhalten – უსაქმოდ პირდაღებული იდგე, ბუზებს ითვლიდე, თვალებს უაზროდ აცეცებდე.

Was stehst du herum und *hältst Maulaffen feil!* – რას დგახარ **პირდაღებული?**

ქართულ ენაშიც გვხვდება ასეთი ტიპის იდიომები, რომლებიც ენაში ხშირად გამოიყენება, მაგრამ მათი ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობა, მისი უცხოური წარმოშობის გამო, ძნელად გამოსაცნობია. მაგ., *აინუნშიც არ მოსდის/აინუნშიც არ აგდებს* (ფიქრადაც არ მოსდის, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს. აინუნ (ainun) არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „თვალს“. გერმანულში მას შეესიტყვება etw. *auf die leichte Achsel nehmen*.

„Gut, -sagte er, -dass du es *auf die leichte Achsel nimmst*“ - Goethe-Leiden des jungen Werthers (in *Deutsch-Georgisches Phraseologisches Wörterbuch* 79).

კარგია, რომ *აინუნშიც არ ავდებთ* ამას.

იგივე შეიძლება ითქვას იდიომატურ გამოთქმაზე „*იხტიბარი არ გაიტეხა*“ მნიშვნელობით: იმედი არ დაკარგა, გული არ გაიტეხა. *იხთაბარა* არაბული ენიდანაა და „გამოცდილებას“, „მოხერხებას“ ნიშნავს.

[...] შიო პაპას სადღაც გულში სწყინდა, მაგრამ მაინც *იხტიბარს არ იტეხდა* და უღარდელად უპასუხებდა: მეც კარგად ვარ და ჩემი ვირადინიცა! (რევაზ ინანიშვილი, *შიო პაპასი და მისი სახედრის ამბავი* 2).

იდიომს „*იხტიბარი არ გაიტეხა*“ აქვს ასევე უცხოური წარმოშობის სინონიმური იდიომა „*აბრუ გაიტეხა/არ გაიტეხა*“. აბრუ (სპარს.) – იგივეა, რაც სინდისი, *იხტიბარი* (ნეიმანი, *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი* 559).

„რეზო ვერ მიხვდა, ეს შექება რასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ აბრუ არ გაიტეხა და შორენას მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა“ (გეგია, *მსაჯული*).

მიუხადავად იმისა, რომ ასეთი ტიპის არამოტივირებულ იდიომებს არ გააჩნიათ სტრუქტურულ-სემანტიკურად სრულყოფილი ეკვივალენტები გერმანულ ენაზე, შინაარსობრივად ადეკვატური იდიომა მაინც მოიპოვება გერმანულ ენაში, მაგ., *gute Miene zum bösem Spiel machen*- *იხტიბარი არ გაიტეხო*; სიტყვასიტყვით: ცუდ თამაშში კარგი (მხიარული) გამომეტყველება მიიღო.

Obwohl er sich in dieser Gesellschaft gar nicht wohl fühlte, *machte er gute Miene zum bösen Spiel* – თუმცა იგი ამ საზოგადოებაში თავს სრულიად არ გრძნობდა კარგად, *იხტიბარს* მაინც *არ იტეხდა*.

ენაში გვხვდება ავტორიზმები, რომელთა წარმოშობის დადგენა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ზოგიერთი ავტორისეული გამოთქმა შეიძლება ხალხური წარმოშობის იყოს. ფიქსირება კი იმისა, პირველად როდის იხმარა ესა თუ ის გამოთქმა ამა თუ იმ ავტორმა, ზოგჯერ ძალიან ძნელია.

თავისუფალი შესიტყვების მეტაფორიზაცია, მისი მყარ, ინდივიდუალურ შესიტყვებად გადაქცევის პროცესი შეიძლება დავაფიქსიროთ თომას მანის ბუდენბროკებში, სადაც ავტორმა, პირველად (და რამდენჯერმე), გამოიყენა გამოთქმა *auf den Steinen sitzen* (ქვებზე ჯდომა), მნიშვნელობით – განცალკავებით, მოწყენილი,

განმარტოებითი ყოფნა. გამოთქმის წარმოშობის წინაპირობა შემდეგია: როცა ტონი სანაპიროზე ან ბაღში თავის ურბანულ ნაცნობებს უნდა შეხვედროდა, მორტენი „იჯდა ქვებზე“ მარტოხელა და მოწყენილი და ელოდებოდა ტონის. შემდეგ, როდესაც სანაპიროზე წვიმიანი ღლეები დადგებოდა და ბილიკები დაიტბორებოდა, ტონი იტყოდა: დღეს ჩვენ ორივეს „ქვებზე ჯდომა“ მოგვიწევს... ეს კი ნიშნავდა – ვერანდაზე ან მისაღებ ოთახში დარჩებოდნენ. საბოლოოდ, ხშირი განმეორების შედეგად, გამოთქმა ორივესათვის მყარ შესიტყვებად იქცა.

...Wenn Tony sich mit Bekannten aus der Stadt treffen muss, sitzt er mit einem Buch *auf den Steinen* und wartet auf sie (III., 7) – როცა ტონი ქალაქელი ნაცნობების შეხვედრას მოინდომებს, იგი, [მორტენი] *ზის ქვებზე* და უცდის მას“.

Heute müssen wir beide *auf den Steinen sitzen* . . . das heißt – in der Veranda oder im Wohnzimmer (Mann, *Buddenbrook* 147) – დღეს, ჩვენ ორივეს *ქვებზე მოგვიწევს ჯდომა*... ეს ნიშნავს – ვერანდაზე ან მისაღებ ოთახში.

ასე, ხშირი განმეორების შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს თავისუფალი სინტაქსური შეერთებიდან მყარი შესიტყვება, რომელიც დროთა განმავლობაში ან გაქრება ენიდან, ან გაივლის პოტენციური ფრაზეოლოგიზმიდან იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბების გზას და თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს ენის ლექსიკურ ფონდში.

დასკვნა

თავისუფალი შესიტყვების მთლიანი ან ნაწილობრივი ახლებური გააზრება იდიომების წარმოშობის ყველაზე პროდუქტიული გზაა. იდიომების წარმოშობის მეორად გზად მიიჩნევენ დერივაციას, ე. ი. უკვე არსებული ფრაზეოლოგიზმებიდან ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების (იდიომების) წარმოქმნას. ასეთმა იდიომებმა, რომლებიც წარმოიშვნენ მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად, უნდა გაიარონ ორი სტადია: პოტენციური ფრაზეოლოგიზმიდან იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბების სტადია.

იდიომების წარმოშობის გზების შესწავლას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან საკითხისადმი დიაქრონიული მიდგომა იძლევა წარმოდგენას იმ ფაქტორებზე, რომლებიც იდიომების წარმოშობას ახასიათებს იდიომატური გამოთქმებისა და სიტყვის განვითარების განსხვავებული კანონზომიერების საფუძველზე.

Analyse de discours non-littéraires

ამ პროცესში ხდება აგრეთვე იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობის ღრმად გააზრება, მისი შეგნებულად შესწავლა-დამახსოვრება.

ბიბლიოგრაფია

- Bürger, Herald, *Phraseologie: Eine Einführung am Beispiel des Deutschen*, Bielefeld, E. Schmidt, 1998.
- Duden Verlag (Hrsg), Redewendungen. Wörterbuch der deutschen Idiomatik Bearb. von Werner Scholze-Stubenrecht. Bd.11 Mannheim: 2012.
- Mann, Thomas, *Buddenbrooks*, 1930.
http://www.thomasmann.de/download/thomasmann/Tony_in_Travemuende.pdf (ნახვა 10.09.2017).
- Römer, Christine et al., *Lexikologie des Deutschen*, Tübingen Gunter Narr Verlag, 2005.
- Schippan, Tea, *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*, Tübingen Gunter Narr Verlag, 1992.
- Stambolishvili, Nana, „Phraseologismen als kulturelles Gedächtnis“, in *Linguo-Cultural Competence and Phraseological Motivation. Phraseologie und Parömiologie*, Bd. 27. Baltmannsweiler, Schneider Verlag, 2011, p. 207-213.
- Stambolishvili, Nana, *Deutsch-Georgisches Phraseologisches Wörterbuch*, Batumi Shota Rustaveli State University, Verlag 2010.
- Stambolishvili, Nana, „Einige Betrachtungen über die Entstehung der Phraseologismen“, in *Research on Phraseology Across Continents Intercontinental Dialogue on Phraseology*, University of Bialystok, Poland & Kwansai Gakuin University, Japan, 2013, p. 291-309.
- Stepanova, Maria and Černiševa, Irina, *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*, Moskau, Visšaja škola, 1986.
- ინანიშვილი, რევაზ, *შიო პაპასი და მისი სახედრის ამბავი* <http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=9141> (ნახვა 10 სექტემბერი 2017).
- გევია, მერაბ, „მსაჯული“ <http://www.bu.org.ge/x2420?page=2&tab=3> (ნახვა 12 დეკემბერი 2017).
- ნეიმანი, ალექსანდრე, *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*, მე-3 გამც., თბილისი, განათლება, 1978.
- სახოკია, თედო, *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*, თბილისი, მერანი, 1979. <https://sites.google.com/site/mygeolingua/khatovani-sitqva-tkmani> (ნახვა 10 სექტემბერი 2017).